პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 88 (3572)

1968 წ. 7 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.



ლენინური კომკავშირის საპატიო ნიშანი „სპორტული მამაცობა". ამ ნიშნით დაჯილდოვდებიან სპორტსმენები, რომლებიც დიდ სიმამაცეს, მაღალ სპორტულ ოსტატობას და მტკიცე ნებისყოფას გვიჩვენებენ ოლიმპიადებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში.

საქდესის ფოტოქრონიკა.

# რეკორდი ოლიმპიადებში

მეხიკო, 5 მაისი. მეხიკოს XIX ოლიმპიური თამაშები ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება ამ ასპარეზობის მთელ ისტორიაში — ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ 100-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები, — განაცხადა XIX თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პედრო რამირეს ვასკესმა (ჯერჯერობით რეკორდი ტოკიოს ოლიმპიადას ეკუთვნის, რომელშიც 94 სახელმწიფოს სპორტსმენები ასპარეზობდნენ).

ვასკესმა ოლიმპიადისთვის სამზადისზე მექსიკის პრეზიდენტს გუსტავო დიას ორდასს წარუდგინა მოხსენება და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილების შეცვლის შემდეგ, რომლის ძალითაც რასისტულ სამხრეთ აფრიკას აეკრძალა XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, მეხიკოში დიდი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები.

მექსიკის მთავრობამ გადაწყვიტა ოლიმპიურ სოფელს მიანიჭოს ეროვნული გმირის — „გამათავისუფლებელი მიგელ იდალგოს" სახელი, რომელმაც 1810 წლის 6 დეკემბერს ქვეყანაში მონობის ლიკვიდაციის დეკრეტი გამოსცა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

## ფარდა დაიხურა

რიგა, 5 მაისი. გუშინ „დაუგავას" სპორტის ცენტრალურ სახლში საზეიმო ვითარებაში დაეშვა კალათბურთელ ვაჟთა XXXV საკავშირო ჩემპიონატის ალამი. მანამდე კი ადგილობრივმა არმიელებმა არც თუ გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს მეზობლებს — კაუნასის „ჟალგირისის" სპორტსმენებს. თუ პირველ მატჩში არმიელთა უპირატესობა ძალიან პატარა იყო (67:65), მეორე დღეს რიგელებმა გამარჯვება უფრო დამაჯერებელი გაიდეს — 66:59.

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბილისი) | 44 | 31 | 13 | 3268—3063 | 31 |
| ასკ (კიევი) | 44 | 29 | 15 | 3028—2839 | 29 |
| ცსკა | 44 | 28 | 16 | 2936—2762 | 28 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 44 | 26 | 18 | 3165—3103 | 26 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 44 | 25 | 19 | 2889—2814 | 25 |
| „კალევი" (ტარტუ) | 44 | 23 | 21 | 2884—2803 | 23 |
| ვეფ (რიგა) | 44 | 23 | 21 | 3128—3053 | 23 |
| ასკ (რიგა) | 44 | 21 | 23 | 3198—3188 | 21 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 44 | 20 | 24 | 3028—3027 | 20 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 44 | 19 | 25 | 2806—2838 | 19 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 44 | 10 | 34 | 3026—3390 | 10 |
| „ბურევესტნიკი" (ბაქო) | 44 | 9 | 35 | 3280—3767 | 9 |

## ყოჩაღ, თინა!

მინსკი, 5 მაისი. სსრ კავშირისა და იტალიის იუნიორ მოცურავეთა მატჩში თბილისელი თინა ლეკვეიშვილიც ასპარეზობდა. ქართველმა ქალიშვილმა საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა: მან ყველას აჯობა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში. მისი შედეგი 1.11,5 რესპუბლიკის ახალი რეკორდია. თინამ წარმატებას მიაღწია 200 მეტრზე გულაღმა ცურვაშიც და ისევ საქართველოს ახალი რეკორდით — 2.34,8. ეს ბევრად აღემატება მისსავე შარშანდელ რესპუბლიკურ რეკორდს (2.43,4).

სტუმრებს პროგრამის მხოლოდ ორ სახეობაში ხვდათ წარმატება. დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

## სხარტი ამბები

● ლენინგრადი, 5 მაისი. ადგილობრივი „ზენიტის" ფეხბურთელებმა აქ მიიღეს ცნობილი უნგრული გუნდი — ბუდაპეშტის „ვაშაში" და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. საინტერესოა, რომ ყველა ბურთი გატანილ იქნა შესვენების შემდეგ. „ზენიტის" მხრივ გოლები გაიტანეს უნანოვმა (2) და ვიუნმა, საპასუხო ბურთი — კოლნარმა.

● ბუდაპეშტი. 5 მაისი. ცსკა-ს ესპადრონისტთა გუნდმა მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. მ. რაკიტამ, უ. მავლიხანოვმა, ვ. ნაზლიმოვმა და ე. ვინოკუროვმა ფინალში თანმიმდევრობით დაამარცხეს ორი უნგრული კლუბი: „ჰონვედი" — 10:7 და „ვაშაში" — 9:7. ამრიგად, წლეულს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ყველა გუნდური თასი გათამაშებულია. ოთხი თასიდან სამს საბჭოთა სპორტსმენები დაეპატრონენ: „დინამო" (დაშნა) და ცსკა (რაპირა და ესპადრონი). რაპირისტ ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს რუმინელებმა.



## ანგარიში გათანაბრდა

ბელგრადი, 5 მაისი. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია ჰადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის VI პარტიამ. საბჭოთა დიდოსტატმა მ. ტალმა (შავებით) ძლიერად ჩაატარა პარტია და 34-ე სვლაზე იუგოსლაველ ს. გლიგორიჩს ფარხმალი დააყრევინა.

მატჩის ანგარიში გათანაბრდა — 3:3. დიდოსტატებს სათამაშო დარჩათ 4 პარტია.

## როგორც დეტექტიურ რომანებში...

სტოკჰოლმი, 5 მაისი. შვეციისა და რასისტული სამხრეთ როდეზიის ჩოგბურთელთა მატჩი დევისის თასზე, რომელიც ბოსტადის საჩოგბურთო სტადიონზე არ შედგა სტუდენტთა დემონსტრაციის გამო, ახლა უმაყურებლებოდ გაიმართება, მაგრამ კაცმა არ იცის — სად და როდის.

თავდაპირველად გამოაცხადეს, რომ მატჩი დაბა მერიდიონალში მოეწყობა, მაგრამ ახალი დემონსტრაციების შიშით შეჯიბრების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მისი საზღვარგარეთ გადატანა.

გუნდებმა კონსპირაციის ყველა ზომის დაცვით დატოვეს შვეცია, როგორც ეს დეტექტიურ რომანებში გვხვდება. შვედებმა პარიზამდე აიღეს ბილეთები, ხოლო მათმა მეტოქეებმა —კოპენჰაგენამდე. იქიდან, როგორც გაზეთი „დაგენს ნიუჰეტერი" გვატყობინებს, სამხრეთროდეზიელი მოთამაშეები სათითაოდ გაემგზავრებიან საფრანგეთის დედაქალაქს, სადაც, როგორც გაზეთები ვარაუდობენ, გაიმართება კიდეც მატჩი. თამაშის მსვლელობაზე ცნობები არ გადაიცემა და ჟურნალისტები დაწვრილებით ამბებს მხოლოდ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შეიტყობენ.

როგორც ხედავთ, სმითის რასისტული რეჟიმის წარმომადგენლები ევროპაში თავს კარგად ვერ გრძნობენ.

## რუმინელთა გამარჯვება

ბუქარესტი. დევისის თასის შესარჩევ მატჩში რუმინელებმა დაამარცხეს დანიელი ჩოგბურთელები—4:1. სტუმრებმა მხოლოდ წყვილთა შეხვედრაში იმარჯვეს.

## დღეს ნომერში:

☼ ქუთაისელ მოკრივე ა. ნიქოლაძეს დიდი მომავალი აქვს

☼ რეგბისტთა რიგები კვლავ მცირერიცხოვანია

## სპარტაკელთა შეჯიბრება

ლენინგრადი, 4 მაისი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა პირველობა, რომელშიც 14 მონაწილე იყო.

ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ლენინგრადელმა ლ. კრისტოლმა (10 ქულა), რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. 9,5 ქულით II ადგილზე გავიდა ოსტატი კ. სკეგინა (მოსკოვის ოლქი). III-IV ადგილები გაიყვეს საერთაშორისო ოსტატმა ა. ჩაიკოვსკაიამ (თბილისი) და ტ. ბელოვამ (პსკოვი) — 8,5-8,5. V ადგილზეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ლ. რუდენკო (ლენინგრადი) — 8, ხოლო VI — თბილისელი ოსტატი ე. კაკაბაძე — 7,5.

## ბრძოლა ჯერ წინაა

დევისის თასზე სსრ კავშირისა და საბერძნეთის ჩოგბურთელთა მატჩის ბოლო დღე, როგორც წესი, ერთეულთა შეხვედრებს დაეთმო. პირველად კორტზე გამოვიდნენ ამ გუნდების მეორე ჩოგნები — თ. ლეიუსი და პ. გავრილიდისი. საბჭოთა სპორტსმენის უპირატესობა იმდენად აშკარა და დამაჯერებელი იყო, რომ მხოლოდ ტექნიკურ ანგარიშს მოვიყვანთ — 6:2, 6:1, 6:0. ამ მოგებამ სსრ კავშირის გუნდს გამარჯვება ვადამდე მოუტანა — 3:1 გათამაშების რეგლამენტით კიდევ ერთი შეხვედრა იყო გათვალისწინებული, მაგრამ გუნდების მდგომარეობაში მას არსებითი ცვლილების შეტანა არ შეეძლო. ეს შეხვედრა მაინც დიდ ინტერესს იწვევდა: უნდა ებრძოლათ საბერძნეთისა და სსრ კავშირის პირველ ჩოგნებს—ა. მეტრეველსა და ნ. კალოგეროპულოსს. პირველად ისინი წლეულს იანვარში შეხვდნენ ერთმანეთს ინდოეთს გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მაშინ მეტრეველმა 4 პარტიაში 3 ხელი მოიგო და გამარჯვებაც დაისაკუთრა. ბუნებრივია, ბერძენი ამჯერად რევანშის აღებას შეეცდებოდა, მეტრეველი — თავისი ძალის კიდევ ერთხელ დამტკიცებას.

თბილისელი მაყურებლის უდიდესი ნაწილის აზრით მეტრეველის მხარეს იყო რამდენიმე ფაქტორი: საბერძნეთთან მატჩი უკვე მოგებულია, თამაშობს საკუთარ კორტზე, ერთხელ უკვე დაჯაბნა მეტოქე, მაღალი კლასის ოსტატია, და, თანაც, მაყურებელი მისი ქომაგია. მეტრეველი კი შეიძლება ამას ფიქრობდა: „მატჩი მოვიგეთ, მაგრამ უნდა დავამტკიცო, რომ ბერძენზე ძლიერი ვარ. საკუთარი კორტი? ამ ოღროჩოღრო მოედანზე თამაშს არავის ვუსურვებ. კალოგეროპულოსს ახლა დასაკარგი არაფერი აქვს და გაშმაგებით იბრძოლებს. მაყურებლები ჩემს მხარეს არიან? ო, რა ძნელია თამაში მაშინ, როცა გსურს განსაკუთრებით გამოიჩინო თავი"...

მატჩი მოულოდნელი გზით წარიმართა. მეტრეველმა დიდხანს ეძია სათანადო კალაპოტი და პირველი ხელის სამი გეიმი ზედიზედ წააგო. ჩოგბურთში ეს ხელის საბოლოოდ დათმობას ნიშნავს. ასეც მოხდა — 3:6.

დაიწყო მეორე ხელი. მეტრეველი დაწინაურდა — 3:1, მაგრამ მომდევნო გეიმში საკუთარი მოწოდება წააგო. ნუთუ ბერძენმა თამაშში გარდატეხის შეტანა შეძლო? არა, მეტრეველი უტევს, ამ ხელის წაგება არამც და არამც არ შეიძლება. ბოლოს, ქართველმა ჩოგბურთელმა იმარჯვა — 6:2.

ყველაზე ცუდად მან მესამე ხელი ითამაშა. მეტრეველი ასეთი არასოდეს გვინახავს: უამრავი შეცდომა! შედეგად — 1:6.

მაშ ასე, დაწინაურდა კალოგეროპულოსი. ახლა მისთვის ერთი ხელის მოგებაც საკმარისია.

დაიწყო მეოთხე ხელი. ბერძენმა ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და დაწინაურდა — 3:0, შემდეგ 3:1, 4:1... წამოვდექი და უცებ ჩურჩული მესმის·

— ადრე გაგიტყდათ გული. პირველი პარტიის შემდეგ აკი თქვენ ამბობდით, ხუთი ხელი გათამაშდებაო. ნუ გეშინიათ, ბრძოლა ჯერ წინაა ..

ეს მეტრეველის უფროსი ძმის — პეტრეს სიტყვებია, წარსულში რესპუბლიკის ცნობილი ჩოგბურთელისა.

პასუხად ვერაფერი მოვახერხე და გვერდში ამოვუდექი. სწორედ ამ დროს დაიწყო მეტრეველმა მეტრეველური თამაში. დიახ, მეტრეველური, სხვანაირად მას ვერ უწოდებ. მონაცვლეობით რამდენიმე სერია ხვეული, ბრტყელი თუ მოჭრილი დარტყმებისა და ანგარიში გათანაბრდა — 4:4. შემდეგ — 4:5, 5:5, 6:5, 6:6. მეტრეველმა კიდევ ერთხელ მოიგო მეტოქის მოწოდება — 7:6. ბერძენი სწორედ აქ გატყდა და მომდევნო გეიმი უკვე სწრაფად დათმო: 8:6 მეტრეველის სასარგებლოდ, შეხვედრის საერთო ანგარიშია 2:2. დადგა მეხუთე, გადამწყვეტი ხელი, რომელიც მასპინძელმა იოლად მოიგო — 6:2. ეს უთუოდ კანონზომიერი შედეგი გახლდათ, რადგან თამაშის სადავეები ახლა მთლიანად ჩვენმა ფავორიტმა იგდო ხელთ. როგორც კი მეტრეველმა თავისი თავი იპოვნა, ბერძენი ჩოგბურთელის თამაში გაუფერულდა. ჩოგბურთის ყველა ცნობილ ხერხს ჩვენი სტუმარიც კარგად ფლობს, მაგრამ სწორედ ის „რაღაც" აკლია, რაც მაღალი საერთაშორისო კლასის ჩოგბურთელებს აქვთ.

საბოლოოდ ანგარიშით 4:1 სსრ კავშირის ნაკრებმა დაამარცხა საბერძნეთის გუნდი.

და მაინც, რა იყო იმის მიზეზი, რომ მეტრეველმა შიში აჭამა თბილისელ გულშემატკივრებს? ჩოგბურთის ყველა სპეციალისტი (მოსკოველი, უცხოელი თუ თბილისელი) იმ აზრისაა, რომ თბილისის კორტი ხელახლა მოსაწყობია, აღარ შეეფერება დღევანდელ მოთხოვნებს. მეტრეველს უჭირს ასეთ კორტზე თამაში და არაერთხელ გამოუთქვამს სამართლიანი უკმაყოფილება. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ მეტრეველი თბილისის კორტზე სტუმარი უფრო, ვიდრე მასპინძელი. დროა თბილისში დამკვიდრდეს საერთაშორისო ტურნირების (თუნდაც წელიწადში ერთხელ), საერთაშორისო გუნდური შეხვედრებისა და საკავშირო ასპარეზობათა ტრადიცია.

დევისის თასზე მეორე წრის მატჩს სსრ კავშირის ნაკრები მაისის მეორე ნახევარში გამართავს იუგოსლავია — ახალი ზელანდიის მატჩში გამარჯვებულთან.

ჯ. ენუქიძე.

დევისის თასზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყურადღება: ბაზები!

მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენებისა და მაღალი თანრიგების სპორტსმენთა აღზრდაში მთავარი როლი სპორტულ ბაზებს ენიჭება. თბილისში ათასობით ბაზა გვაქვს, მაგრამ ყველა სათანადოდ მოვლილი და აღჭურვილი როდია. თბილისის სპორტკავშირის მორიგი პლენუმი სწორედ დედაქალაქის სპორტული ნაგებობების მდგომარეობასა და საზაფხულო სეზონისთვის მათი მზადების საკითხს მიეძღვნა.

მოხსენებით გამოვიდა სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი ნ. პაშიკოვი. მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ი. ლობჟანიძე, თბილისის ზღვის წყალჯომარდობის სადგურის დირექტორი ვ. ასათიანი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა გუნდის მწვრთნელი ლ. ძეკონსკი, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომელი მ. კალანდაძე, თბილისის სპორტკავშირის ტანვარჯიშის დარბაზის დირექტორი გ. კაჭავარა, ველოსტადიონის დირექტორი პ. რურუა, კიროვის პარკის სპორტთამაშების სტადიონის დირექტორი ნ. ჯანიაშვილი, სპორტნაგებობათა სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კონტორის უფროსი ვ. გვანტალიანი, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ი. გოჩორიძე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური სპორტსკოლის დირექტორი რ. შავლაყაძე, საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

პლენუმზე ითქვა, რომ ქალაქში თითქმის არ არის არც ერთი სასწავლებელი, საწარმო, დიდი დაწესებულება, რომ საკუთარი ბაზა არ ჰქონდეს, ბევრი ფიზკულტურული კოლექტივის განკარგულებაში კი შესანიშნავი კომპლექსური სპორტული ნაგებობებია. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპორტკლუბების „სინათლის“, „განთიადის“, „უშბის“, ტრიკოტაჟის კომბინატის, უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების ბაზები. აღარას ვამბობთ „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ სტადიონებზე, „განთიადისა“ და „შრომითი რეზერვების“ სპორტულ მოედნებსა და დარბაზებზე.

მზადაა თუ არა ეს ბაზები ზაფხულის სპორტული სეზონისათვის? როგორც მუდამ, „დინამოს“ ბაზებზე დიდი ხანია დამთავრდა რემონტი. კარგად იმუშავეს „განთიადის“ ცენტრალურმა საბჭომ, „შრომითი რეზერვების“, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლისა და სახლმმართველობის ხელმძღვანელებმა. მაგრამ ყველგან ასე როდია.

პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს ის ორგანიზაციები, რომლებიც მესამე წელია აჭიანურებენ ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის ფეხბურთის მინდვრის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების მშენებლობას, ლისის ტბის საწყლოსნო სადგურის რემონტს. ითქვა ისიც, რომ სტუდენტთა ქალაქის სტადიონი უყურადღებობისა და მოუვლელობის გამო გამოუსადეგარია, სამედიცინო ინსტიტუტის ფეხბურთის მინდორი კი იმდენად უვარგისია, რომ საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის ვერ იყენებენ. სპორტნაგებობათა სამმართველოს სამშენებლო-სარემონტო კონტორის უხეირო მუშაობის გამო გაჭიანურდა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სპორტული კომპლექსის რემონტი.

ზაფხულის სეზონს მოუმზადებელი ხვდება დედაქალაქის ბევრი უმაღლესი და სპეციალური საშუალო სასწავლებლის, საწარმოსა და დაწესებულების ბაზებიც. მაგალითად, უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოედნების წესრიგზე მოსაყვანად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ბოლო წლებში თბილისის თითქმის ყველა სკოლასთან აიგო ღია თუ დახურული ბაზები, მაგრამ უყურადღებობის გამო მათი დიდი ნაწილი გავერანდა.

მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებსა და მასივებში მცხოვრებთა თაოსნობით მწყობრში ჩადგა ბევრი სპორტული ნაგებობა, სადაც რეგულარულად ეწყობა ჯანმრთელობის სპარტაკიადები და შეხვედრები სხვადასხვა სახეობაში. მარტო შარშან ორჯონიკიძის რაიონის 14 მიკრორაიონში მოეწყო საბავშვო მოედნები, ფეხბურთისა და სპორტთამაშების მოედნები. მაგრამ ამასთან ერთად პლენუმზე აღინიშნა, რომ მოუვლელია ბევრი სპორტმოედანი (ოქტომბრის ქ. №№ 150, 323; ავჭალის გზატკეცილი № 25, ხეთაგუროვის ქ. № 80, ვარციხის ქ. № 9, კიევის ქ. № 6). სპორტულ სეზონს მოუმზადებელი შეხვდნენ 24-ე, 63-ე, 64-ე, 65-ე, 67-ე, 70-ე, 71-ე, 72-ე, 73-ე და 74-ე სახლმმართველობებიც. 68-ე სახლმმართველობის შარშან მოწყობილ კომპლექსურ მოედნებზე ზამთარშიც არ შეწყვეტილა ვარჯიში, ახლა კი ეს მოედნები უთუოდ უნდა შეკეთდეს.

სასწრაფოდ უნდა გაუკეთდეს რემონტი სპორტმოედნებს შაუმიანის ქ. № 65-ში, ხმელნიცკის ქ. № 30-ში, ნავთლუღის მასივის მე-3, მე-7, მე-10 კვარტალებში. ბევრი სამუშაოა ასკ-ს სტადიონზეც.

უბრალო ტიპის სპორტული ბაზებიც კი არა აქვთ აბრეშუმსაქსოვ, ტრიკოტაჟის № 1 და № 3 საავეჯო ფაბრიკებს და სხვ.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, ეს ყოველივე სპორტნაგებობათა სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კონტორის ბრალიცაა. სწორედ ამ კონტორის ცუდი მუშაობის გამოა, რომ სეზონს მოუმზადებელი შეხვდა კიროვის პარკის სპორტთამაშების მოედნები, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე საჩოგბურთო კორტები და სხვ. ბევრი ნაგებობის რემონტი მაშინ დაიწყო, როცა უნდა დამთავრებულიყო. სწორედ ამიტომ შეფერხდა საქალაქო ჩემპიონატი ფეხბურთში.

ქალაქში არ იშოვება საჭირო ინვენტარი — ფრენბურთის ბადეები, ფიბერგლასის ჭოკები, სასტარტო კალაპოტები, თარჯები, ტანვარჯიშული იარაღი, წყალში სახტომი ტრამპლინი, ბატუტი, მოფარიკავეთა ნიღბები და სხვ.

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით პლენუმმა დასახა სათანადო ღონისძიება.

---

## ფოტო გაკლდება!

თბილისელი მეტრომშენებლების სასახელო შრომა საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ ბევრმა ალბათ არც იცის, რომ მათ შესანიშნავი ფიზკულტურული კოლექტივიც აქვთ და ძლიერი გუნდებიც ჰყავთ. სწორედ მეტრომშენებელთა თაოსნობითა და 1-ლი მაისის რაიონის ხელმძღვანელთა მხარდაჭერით ამ სამი წლის წინ შესანიშნავი სპორტბაზები მოეწყო მტკვრის მარცხენა სანაპიროს თავისუფალ ტერიტორიაზე. ფეხბურთის მინდორს, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს რაიონის სხვა საწარმოები და სკოლებიც იყენებდნენ. აქ იმართებოდა შიდასაკოლექტივო, რაიონული და საქალაქო ტურნირები. წლევანდელ სეზონს კი ბაზა ასე შეხვდა (იხ. ქვედა სურათები). მეტრომშენებლებმა იცოდნენ, რომ ამ მოედნების ნაწილი ქალაქის რეკონსტრუქციის სამუშაოებს უნდა „ემსხვერპლა“, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ბაზა ადრევე გახდა უვარგისი: სამშენებლო მასალა მაინცდამაინც მოედნებზე დაყარეს, მაშინ, როცა თავისუფალი ადგილი იქვე ახლოს იყო.

ზევით დაბეჭდილი სურათები ქალაქის სხვადასხვა უბანშია გადაღებული. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ საბურთალოს აგურის ქარხნის კალათბურთის მოედნის ნაწილს და ფარს; მარჯვენაზე — ლენინის რაიონის მე-3 სახლმმართველობის (მმართველი გ. ახვლედიანი) „სპორტულ ნაგებობას“.

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

ფოტო თ. გაჩეჩილაძის და ა. გურასაშვილისა.









# მხოლოდ შეშფოთება

თბილისის ძალოსანთა პირველობა სპორტის სასახლეში მოეწყო. ათლეტებს ყველაფერი საუკეთესო ხარისხისა ჰქონდათ: ინვენტარი, შენობა... არ იყო მხოლოდ მაყურებელი და მაღალი შედეგები. თუმცა, ამის შესახებ ქვემოთ.

ქალაქის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: დ. პართენაძე („განთიადი“) — 285 კგ, ა. კირაკოსიანი („სპარტაკი“) — 305, დ. შანიძე („განთიადი“) — 367,5, შ. კაცობაშვილი („სპარტაკი“) — 362,5, რ. გასპარიანი — 425, ო. დემუროვი (ორივე — „განთიადი“) — 435, გ. მიმინოშვილი — 445, დ. კობალაძე (ორივე — „დინამო“) — 320.

გუნდური პირველობა მოიგეს „განთიადის“ ძალოსნებმა. II ადგილზე არიან დინამოელები, III — სპარტაკელები.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა დ. შანიძემ, რომელიც მსუბუქ წონაში გამოდიოდა, 148 კგ აჰკრა. ეს 2 კილოგრამით მეტია საქართველოს რეკორდზე.

თბილისელმა ძალოსნებმა წლეულს 10-მდე რეკორდი გააუმჯობესეს, მათ შორის, ორი საკავშირო (შანიძე: ატაცი — 118 კგ და სამჭიდი — 382,5).

რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში ყველა შედეგი ბევრად აღემატება სპორტის ოსტატის ნორმატივს. მაშ რამ გამოიწვია ჩვენი შეშფოთება?

შეჯიბრებაში თითქმის 20 სპორტის ოსტატი მონაწილეობდა და მათგან მხოლოდ ოთხმა დაამტკიცა მაღალი წოდება. შვიდმა მონაწილემ (მათ შორის, ოთხმა ოსტატმა: სპარტაკელებმა ი. ხომასურიძემ და მ. კალაშიანმა, განთიადელმა ვ. კაზანჯიანმა, „ლოკომოტივის“ წარმომადგენელმა დ. ხიზამბარელმა და ერთმა ოსტატობის კანდიდატმა, „ბურევესტნიკის“ წევრმა მ. უჯუხუმ) ნოლი მიიღო.

ძალიან დიდია განსხვავება გამარჯვებულისა და პრიზიორების შედეგებს შორის. მაგალითად, საშუალო წონაში პირველსა და მესამე ადგილს შორის სხვაობა 100 კილოგრამია, მძიმე წონაში — 85, ქვემძიმეში — 75, მსუბუქში — 67,5 კგ.

თბილისის შარშანდელი ჩემპიონატიდან ზუსტად ერთი წელი გავიდა, ჩემპიონებს კი წინსვლა არ ეტყობათ. შარშანდელი ჩემპიონების საერთო შედეგი 2997,5 კილოგრამი იყო, წლეულს ეს ციფრი 2945-მდე დავიდა.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ სპორტულ საზოგადოებებში ძალოსნობას სათანადო ადგილი არ ეთმობა.

„განთიადი“ ნაკრების წევრებთან და სპორტის ოსტატებთან კარგად მუშაობს, ფიზკულტურული კოლექტივების ახალგაზრდებს კი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს.

საგრძნობლად ჩამორჩა „დინამოც“, რომელსაც ადრე ცნობილი ძალოსნები ჰყავდა. „ლოკომოტივი“ და „სპარტაკი“ ორ-სამ ჯგუფში მუშაობით დაკმაყოფილდნენ.

ძალოსნობას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს „ბურევესტნიკიც“. ახლახან დამთავრებულ სტუდენტთა რესპუბლიკურ თამაშებში ოთხი უმაღლესი სასწავლებლის 28 ათლეტი მონაწილეობდა. ჩასათვლელი ნორმატივი — პირველი თანრიგის შედეგი მხოლოდ ექვსმა მოასპარეზემ აჩვენა. სარბიელზე კი უძლიერესნი გამოდიოდნენ!

გაუგებარია, რატომ არ არის კულტივირებული ძალოსნობა „შრომით რეზერვებში“.

ძალოსნობის განვითარებას ისიც აფერხებს, რომ ქალაქში არ არის ჭაბუკთა არც ერთი ჯგუფი. თბილისის განათლების განყოფილება წინააღმდეგია, რომ ძალოსნობა უფროსი კლასების მოსწავლეთა შორის დაინერგოს.

სპორტის ამა თუ იმ სახეობის ჩამორჩენის მიზეზად ხშირად ბაზების უქონლობას ასახელებენ. თბილისში ძალოსნობის ხუთი დარბაზი გვაქვს. უდავოა, რაც მეტია ბაზა, მით უკეთესი, მაგრამ დღეს ჩვენთვის ეს ხუთი დარბაზიც იკმარებდა სათანადო ინვენტარი რომ გვქონდეს და სასწავლო და შრომითი დისციპლინაც მტკიცე იყოს.

ყველა ზემოაღნიშნული ნაკლი იოლად აღმოიფხვრება. პირველ ყოვლისა საჭიროა მწვრთნელთა მეტი დაინტერესება, სპორტსაზოგადოებათა ხელმძღვანელების ყურადღება და ზრუნვა, ძალოსანთა მეტი მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი.

**დ. კაპცოვი,**
საქართველოს სპორტკავშირის მთავარი მწვრთნელი.

# პირველი პრემია თბილისელ სტუდენტს

კაუნასში ამ დღეებში დამთავრდა სტუდენტთა XV საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებს მიეძღვნა. კონფერენციის მონაწილეებმა 4 დღის მანძილზე 50-ზე მეტი მოხსენება მოისმინეს.

ჟიურიმ I პრემია ერთხმად მიაკუთვნა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტს ს. ალიხანოვს ნაშრომისთვის: „თავდასხმითი დარტყმების ანალიზი ფრენბურთში და სპორტულ თამაშებში ბურთზე დარტყმის მექანიკური ელემენტების განსაზღვრის მეთოდიკა“.

ჟიურის ხელმძღვანელმა, პედაგოგიურ მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პ. რუდიკმა აღნიშნა სტუდენტთა ნამუშევრების მაღალი დონე.

### ✦ ცხინვალი

„კოლმეურნის“ საოლქო საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სამბოში ცხინვალის რაიონის წარმომადგენლებმა მოიგეს. ჩემპიონები გახდნენ: ნ. ბოლოთაევი, მ. ქისიევი (ორივე — ცხინვალის რაიონი), გ. ლოთიშვილი (ლენინგორი), ჩ. გაგიევი, ა. გაგლოევი, გ. დვალიშვილი, ა. ჯაბიევი (ყველა — ცხინვალის რაიონი), ს. გობოზოვი (ზნაური).

**ვ. მელქოევი.**

### ✦ აბაშა

სოფელ სუჯუნის საშუალო სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ნოდია) მოსწავლეები ხშირად ატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელი რაიონების სპორტსმენებთან. ახლახან სუჯუნელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი — 28:16.

**რ. ჩანტურია.**

### ✦ გურჯაანი

ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით მოეწყო სამდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ბაკურციხე — ახმეტა — კვეტერა — ენისელი — ნეკრესი — ბაკურციხე. ლაშქრობაში მონაწილეობდა 25 მოსწავლე.

**ო. ჯოხაძე,**
ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

### ✦ ცაგერი

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობანი მაგიდის ჩოგბურთსა და ქართულ ჭიდაობაში. მაგიდის ჩოგბურთში I ადგილი მოიპოვა ცაგერის საშუალო სკოლის გუნდმა, ხოლო ქართულ ჭიდაობაში უძლიერესნი აღმოჩნდნენ ჩხუტელის საშუალო სკოლის ნორჩი ათლეტები.

**ვ. მუშკუდიანი,**
ცაგერის სპორტსკოლის დირექტორი.

# უხეირო შედეგები

მოცურავეთა ტურნირი მეტად უხეირო შედეგებით დამთავრდა. ქალთა გუნდები მხოლოდ პოლიტექნიკურმა, ტოპოგრაფიულმა, მანქანათმშენებელმა და მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმებმა გამოიყვანეს.

მოასპარეზეებმა II თანრიგის მხოლოდ 5 შედეგი აჩვენეს და მათგან სამი 100 მეტრზე გულაღმა მოცურავეთა ანგარიშზე მოდის. ესენია: ვ. ბეკეტოვი (ინდუსტრიული ტექნიკუმი), ვ. პარაფილოვი (მანქანათმშენებელი ტექნიკუმი) და ვ. ნარხოვი (პოლიტექნიკური ტექნიკუმი). ბეკეტოვმა და პარაფილოვმა II თანრიგის ნორმატივი შეასრულეს: პირველმა 200 მეტრზე თავისუფალი სტილით, ხოლო მეორემ — 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც.

შეჯიბრების 26 მონაწილე ვერ შეწვდა სათანრიგო ნორმას, ათმა „მოცურავემ“ კი საერთოდ ვერ დაამთავრა დისტანცია (!).

ქალებში გუნდური პირველობა მოიგო პოლიტექნიკურმა ტექნიკუმმა, ვაჟებში — ინდუსტრიულმა ტექნიკუმმა.

**ა. გურასაშვილი.**

თბილისის ტექნიკუმების სპარტაკიადა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს უ რ ა თ ზ ე: მთავარი მსაჯი ა. ნავასარდოვი და რინგის ვეტერანი ა. ბუზოლი ჯილდოს გადასცემენ ვ. სულაკაძეს.



ს უ რ ა თ ზ ე: მ. მამამთავრიშვილისა (მარჯვნივ) და ნ. კირთაძის შეხვედრის მომენტი.



ს უ რ ა თ ზ ე: ა. ნიკოლაძისა (მარცხნივ) და ვ. კლიუჩნიკოვის ბრძოლის მომენტი.

**რინგზე არიან საქართველოს უძლიერესი მოკრივეები**



რ. რატიანი · მ. არუთინოვი · გ. ვარდანიანი · მ. მარქარიანი · ზ. გუნია · ვ. ცერცვაძე · ნ. გარაბაჯი · რ. აკოფოვი

# ახალგაზრდამ დაამარცხა გამოცდილი ოსტატი

თბილისში ამას წინათ გაიმართა საქართველოს მოკრივეთა პირადი პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, რუსთავისა და სხვა ქალაქების 80-მდე სპორტსმენი. წონითი კატეგორიების მიხედვით რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ: ვ. სულაკაძე, რ. რატიანი (ორივე — ქუთაისი), მ. არუთინოვი, გ. ვარდანიანი, მ. მარქარიანი, ზ. გუნია, ვ. ცერცვაძე, ნ. გარაბაჯი, მ. მამამთავრიშვილი, რ. აკოფოვი (ყველა — თბილისი), ა. ნიკოლაძე (ქუთაისი).

რა შეიძლება ითქვას განვლილ ასპარეზობაზე? პირველ ყოვლისა ქებას იმსახურებენ ქუთაისელი მოკრივეები, რომელთა წინსვლა წლეულსაც აშკარად შესამჩნევია. 21 წლის მძიმეწონოსანი ნიკოლაძე ტურნირის გმირადაც შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ფინალური ბრძოლა მან გამოცდილ თბილისელ ოსტატ ვ. კლიუჩნიკოვს მოუგო. ქუთაისელ მოკრივეს კარგი ტექნიკა და ფიზიკური მონაცემები აქვს. სწორედ ამის წყალობით მან ორჯერ გაგზავნა ნოკდაუნში მეტოქე, მაგრამ საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ნ. აირაპეტიანმა რატომღაც ვერ შეამჩნია ვერც ერთი მათგანი. შეჯიბრების შემდეგ სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ ქუთაისელთა მწვრთნელები ი. მარქაროვი და ა. ცანავა, რომლებმაც ნიკოლაძის გარდა კიდევ ორი ჩემპიონი (სულაკაძე და რატიანი) მოამზადეს.

საუკეთესო ტექნიკისთვის დაწესებული პრიზი მიეკუთვნა რესპუბლიკის ერთ-ერთ უძლიერეს მოკრივეს ცერცვაძეს, რომელმაც ფინალში მეტად ლამაზი ბრძოლა მოუგო სოხუმელ გვაჯავას.

შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე იმაღლებს ოსტატობას გარაბაჯი. აღსანიშნავია, რომ ამ ჩემპიონატში მას ბოლომდე ვერც ერთმა მეტოქემ ვერ გაუძლო.

კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ ჩვენი რინგის ვეტერანები ვარდანიანი, მამამთავრიშვილი და აკოფოვი. ისინი უდავოდ ღირსეული ჩემპიონები არიან.

მისასალმებელია, რომ უძლიერესთა ოჯახს შეემატა ნიჭიერი მოკრივე, რომელიც, ჩვენი აზრით, ღირსეულად ამოუდგება მხარში თავის უფროს მეგობრებს. ეს არის ზ. გუნია, რომელმაც ტექნიკური და ტემპერამენტიანი ბრძოლით მოხიბლა მაყურებელი.

სპეციალური პრიზი „ყველაზე კარგი ბრძოლისთვის“ მიიღო ახალგაზრდა მოკრივემ ს. გოცულმა.

ჩვენ ყველა ჩემპიონის ჩამოთვლას არ შევუდგებით, რადგან რესპუბლიკის პირველობაში გამარჯვება თავისთავად დიდი წარმატებაა და იგი დამატებით ატესტაციას არ საჭიროებს, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით ახალგაზრდა მოკრივეებს, რომლებიც უახლოეს მომავალში უძლიერესთა მწყობრში ჩადგებიან. პირველ ყოვლისა, ესენი არიან ს. ჩიქოვანი, ვ. ოხიკიანი, ნ. გიორგაძე, ი. გვაჯავა, ს. ორლოვსკი.

ე. ქელბაქიანი.

სსრ კავშირის პირველობა

# დიდი ანგარიშით

მოსკოვი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 4 მაისი.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 5:2 (2:1).

„ლოკომოტივი“: ფროლოვი (შეხოვი), ბასალაევი, როდიონოვი, ზაიცევი, ივანოვი, უსატორე, ცეიტინი (ბელოვი), კოხი, ატამალიანი, პეტროვი, ორეშნიკოვი.

„ტორპედო“: კვასხვაძე, ჩხაიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ერქომაიშვილი, ჰოლაძე, ვეკუა, ხაჟალია, ხერხაძე (ხუციშვილი).

მსაჯი ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები—2:1 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

მატჩი მარცხიანად დაიწყო ქუთაისელთათვის. მათ კართან დანიშნული თავისუფალი ბურთის მოწოდებისას მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს მარცხენა ფლანგზე მყოფი ორეშნიკოვი, რომელმაც ისარგებლა ამ მდგომარეობით და თავით გაიტანა ბურთი — 1:0. სტუმრები ცუდად როდი თამაშობდნენ. პირიქით, მათ რამდენიმე სწრაფი, ეფექტური შეტევა განახორციელეს, მაგრამ მე-13 წუთზე დაცვაში კვლავ იქნა დაშვებული დასანანი შეცდომა: სრულიად უსაფუძვლოდ, როცა მინდორზე შექმნილი სიტუაცია ამას სრულიადაც არ მოითხოვდა, ებრალიძემ კარის წინ სცადა მოეტყუებინა ატამალიანი, მაგრამ დაკარგა ბურთი და ამ უკანასკნელმა სულ თავისუფლად გაიტანა მეორე გოლი — 2:0.

მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, ტორპედოელები განაგრძობდნენ იერიშს. მათ თავდასხმაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ხაჟალია, რომელიც ხშირად გადიოდა გარღვევაზე. სწორედ მან შეძლო პირველი საპასუხო ბურთის გატანა მე-19 წუთზე, ხოლო შესვენების შემდეგ მანვე ზუსტი დარტყმით აღადგინა თანაფარდობა— 2:2.

აი, ამ გადამწყვეტ ვითარებაში სტუმრებმა მოუკლეს ტემპს, აქცენტი დაცვაზე გადაიტანეს და საშუალება მისცეს „ლოკომოტივს“ მთლიანად ხელთ აეღო ინიციატივა. ჯერ ატამალიანმა, ხოლო შემდეგ ზედიზედ ორჯერ ორეშნიკოვმა შეძლეს დიდი ანგარიშით გამარჯვება მოეტანათ რკინიგზელთათვის.

ვ. პავლოვი.
(ჩვენი კორ.).



## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 7 | 3 | 4 | 0 | 7—2 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 6 | 4 | 1 | 1 | 11—5 | 9 |
| „ნეფტჩი“ (ბაქო) | 7 | 4 | 1 | 2 | 8—2 | 9 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 6 | 3 | 3 | 0 | 9—5 | 9 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 9—6 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 6 | 3 | 2 | 1 | 5—3 | 8 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 6 | 1 | 5 | 0 | 6—4 | 7 |
| „დინამო“ (თბილისი) | 6 | 3 | 1 | 2 | 5—3 | 7 |
| ცსკა | 6 | 1 | 5 | 0 | 5—3 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 7 | 2 | 3 | 2 | 5—5 | 7 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 6 | 2 | 3 | 1 | 4—4 | 7 |
| „ზარია“ (ლუგანსკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 3—6 | 7 |
| „დინამო“ (მინსკი) | 6 | 2 | 2 | 2 | 4—2 | 6 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 6 | 1 | 3 | 2 | 6—8 | 5 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 7 | 0 | 5 | 2 | 5—9 | 5 |
| „არარატი“ (ერევანი) | 6 | 1 | 2 | 3 | 5—7 | 4 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 7 | 1 | 2 | 4 | 2—8 | 4 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 6 | 1 | 1 | 4 | 2—6 | 3 |
| ასკ (როსტოვი) | 6 | 0 | 3 | 3 | 7—13 | 3 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 7 | 1 | 1 | 5 | 7—14 | 3 |

## „ბ“ ჯგუფი

5 მაისს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ფოთიდან...

საინტერესო, ტემპიან ბრძოლაში ჩატარდა ფოთის „კოლხეთის“ შეხვედრა პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელთან“. ჯერ მხოლოდ მე-7 წუთი მიმდინარეობდა, როცა კოლხეთელებმა პირველად აიღეს მეტოქის კარი. გოლის ავტორი იყო ხოფერია. გავიდა კიდევ მცირე ხანი და ჯაიანის მიერ მოწოდებული ბურთი ზუსტი დარტყმით გაგზავნა კარში შუშკომ — 2:0.

მეორე ტაიმი კვლავ მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. ისინი განაგრძობდნენ იერიშებს, რომელთაგან ერთ-ერთი მესამე გოლით დაამთავრა ძაგანიამ — 3:0. მატჩის ბოლო წუთებზე „მაშინოსტროიტელს“ შეეძლო ერთი ბურთით შეემცირებინა სხვაობა ანგარიშში, როცა მასპინძელთა კარში ხელით თამაშისთვის დანიშნულ იქნა პენალტი, მაგრამ „კოლხეთის“ მეკარე მარინმა შეძლო ბურთის აღება.

უნდა აღინიშნოს, რომ ფოთის „კოლხეთი“ წლეულს გაცილებით უკეთესად თამაშობს. კოლექტივი თითქმის მთლიანად განახლებული და გაახალგაზრდავებულია. საკმარისია ითქვას, რომ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ი. ხოფერიამ კოლექტივს 6 წევრი გადმოიყვანა მოსამზადებელი ჯგუფიდან და თამამად ანდობს მათ ძირითად შემადგენლობაში თამაშს.

ამ მატჩში „კოლხეთის“ შემადგენლობაში გამოდიოდნენ: მარინი, ბურჭულაძე, კალიუჟნოვი, ქირია, ფარცხალაძე, ჯორბენაძე, არზიანი, შუშკო (სიჭინავა), ხოფერია, ჯაიანი (ცაავა), ძაგანია.

ა. ლომაია.

### ზუგდიდიდან...

„ენგურის“ ფეხბურთელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს გროზნოს „ტეროკი“. მასპინძლებს თავიდანვე შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ თავდამსხმელთა გადამწყვეტი დარტყმები უხეირო იყო.

რამდენიმე ასეთი გამოუყენებელი მომენტის შემდეგ ზუგდიდელებმა მოწინააღმდეგის საჯარიმო მინდორზე ერთ-ერთი მცველის ხელით თამაშისთვის მიიღეს 11-მეტრიანი დარტყმის უფლება. აბრალავამ კარგად შეასრულა იგი და ანგარიში გაიხსნა — 1:0.

ტაიმის დასასრულამდე შეტევაზე სტუმრები იყვნენ და „ენგურის“ დაცვასა და მეკარე ბურჭულაძეს საკმაო სამუშაო გაუჩნდათ.

ასევე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ნახევარი. საბოლოოდ, ანგარიში არ შეცვლილა და ზუგდიდელებმა მეორე გამარჯვება ჩაიწერეს მიმდინარე გათამაშებაში.

ბ. ალშიბაია.



ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელებმა თავიანთ გულშემატკივრებს არ გაუფუჭეს სამაისო განწყობილება და ძლიერად ჩაატარეს მატჩი კაფანის „ლერნაგორცთან“. მათ მოწინააღმდეგე დაამარცხეს ანგარიშით 2:1.

ს უ რ ა თ ზ ე: ჭიათურელთა ერთ-ერთი იერიშისას ბურთი მოხვდა ძელს, მაგრამ მას მიუსწრო ზ. მაისურაძემ (თეთრ მაისურში მარცხნიდან პირველი) და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

ტექსტი თ. შეყილაძისა.
ფოტო ა. მაჭავარიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პირველობა რეგბიში

# ისევ თბილისი და ქუთაისი



რეგბი ჩვენში სპორტის აღიარებულ სახეობებს გაუტოლდა. ახლა უკვე გვყავს სპორტის ოსტატები და კანდიდატები, ქართველ სპორტსმენებს იცნობენ საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ამ სახეობის „მოქალაქეობრივი უფლება“ საბოლოოდ განამტკიცა პირველმა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა, რომელიც შარშან ჩატარდა თბილისის 5 და ქუთაისის 1 გუნდის მონაწილეობით.

მაშინ მონაწილეთა სიმცირე ასე თუ ისე გამართლებული იყო. ვარაუდობდნენ, რომ მორიგი პირველობის სარბიელზე რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებსაც ვიხილავდით. მაგრამ აი, თბილისში წლევანდელი შეჯიბრება დაიწყო და მდგომარეობა არ შეცვლილა. არა და, წლეულს ტარდება პირველი საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც ჩვენი გუნდიც გამოდის.

საქართველოში რეგბის განვითარება უმთავრესად თბილისის „დინამოს“ და „ლოკომოტივის“ სახელებთანაა დაკავშირებული. ორივე კოლექტივს კარგი სპორტსმენები ჰყავს. რესპუბლიკის ჩემპიონის ვინაობა შარშან მათმა ჭიდილმა გაარკვია. „ლოკომოტივს“ ჯერ არც ერთ ოფიციალურ შეხვედრაში არ დაუჯაბნია „დინამო“. ასე რომ, გუშინწინდელ მატჩს ყოველმხრივ პრინციპული ხასიათი ჰქონდა. ცხადია, გუნდები მხოლოდ გამარჯვების წყურვილით გამოვიდნენ მინდორზე. ერთიც და მეორეც ენერგიისა და გულისყურის დიდი დაძაბვით ცდილობდა მეტოქის იერიშების სათავეშივე ჩაშლას. ეს ამოცანა ერთ ხანს მოთამაშეთა პერსონალური მეურვეობით შესრულდა, მაგრამ ასპარეზობის სანახაობრივი მხარე დაიჩრდილა. ასე გაგრძელდა 15 წუთს. მერე თანდათან გამოიკვეთა დინამოელთა ტაქტიკური ნახაზი: ი. კიზირიამ, რ. ღვინიაშვილმა და ნ. ქნდელაძემ რამდენიმე კარგი კომბინაცია წამოიწყეს. გუნდმა ხელსაყრელი პოზიციებიდან საჯარიმოთა რეალიზაციის უფლებაც მიიღო. მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა: ტაიმი დინამოელთა უშედეგო ტერიტორიული უპირატესობით დამთავრდა.

მეორე ტაიმში რთული კომბინაციებითა და დრამატული მომენტებით აღსავსე თამაში ვნახეთ. 47-ე წუთზე დინამოელმა ღვინიაშვილმა ცენტრში მიიღო გადაცემა და ელვის სისწრაფით მიაშურა ჩასათვლელ მოედანს. მდევრები ამაოდ დაშვრნენ: ღვინიაშვილმა მოასწრო ბურთის ჩასათვლელ მინდორზე დადება და გუნდს 3 ქულა მისცა. დინამოელებს შეეძლოთ ქულათა რიცხვი 5-მდეც გაეზარდათ, რადგან ასეთ შემთხვევაში 22-მეტრიანი საჯარიმოს რეალიზაციაც ხდება. მაგრამ კიზირიამ ვერ შეძლო საჯარიმოს გამოყენება და გუნდი 3 ქულით დაკმაყოფილდა.

წაგების საფრთხემ რკინიგზელებს ცეცხლი წაუკიდა. მათ მალე ხელთ იგდეს ინიციატივა და საფინალო სასტვენამდე ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინეს მეტოქეს. თუმცა, მრავალი შესაძლებლობიდან შედეგიანი მხოლოდ ერთი გამოდგა: 59-ე წუთზე დინამოელები უხეში თამაშისთვის დაჯარიმდნენ და მ. კვინიხიძემ დაახლოებით 40 მეტრიდან პირდაპირ კარში გაატარა ბურთი — 3:3.

შეხვედრის მიწურულს „დინამო“ მარცხის საფრთხის წინაშე დადგა — ჩასათვლელ მოედანზე გახშირდა სახიფათო მომენტები, მაგრამ კვინიხიძის საჯარიმო დარტყმებმა მიზანს ვეღარ მიაღწია.

თუ დანარჩენ შეხვედრებსაც მოიგებენ (რაც ეჭვს არ იწვევს), დებულების ძალით ეს გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს: ორი ტურის შემდეგ ისინი 3-3 ქულით ლიდერობენ. პირველ ტურში „დინამომ“ სძლია უნივერსიტეტის გუნდს — 42:3, ხოლო „ლოკომოტივმა“ — პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებს — 28:6. ქუთაისის გუნდი დამარცხდა „ვანთიადთან“ — 14:16 (შეხვედრა გაპროტესტებულია). მეორე ტურის შედეგები ასეთია: სპი — ქუთაისი 32:6, უნივერსიტეტი — „განთიადი“ 28:3.

თ. გაჩეჩილაძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: „ლოკომოტივისა“ და „დინამოს“ შეხვედრის მომენტი. ფოტო ავტორისა.

# ახალი ამბები

● ოლდერშოტი, 4 მაისი. ინგლისის ამ ქალაქში დამთავრდა თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრება. გუნდური გამარჯვება იზეიმა უნგრეთის პირველმა ნაკრებმა. II ადგილზეა ამ ქვეყნის მეორე ნაკრები. დიდი ბრიტანეთის პირველმა გუნდმა III საპრიზო ადგილი დაიკავა. პირად ჩათვლაში სამივე საპრიზო ადგილი უნგრელებმა დაიკავეს: I. ფ. ტიორიოკმა — 5346 ქულა, II — ა. ბალცომ — 5254, III — ი. მოცარმა — 5099.

● ერფურტი (გდრ), 4 მაისი. აქ პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართეს რიგის „ადაჟის“ მოტობურთელებმა. მათ დაამარცხეს ადგილობრივი „დინამო“ — 4:0.

● ლაიპციგი, 4 მაისი. მოტოკროსში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა პ. ფრიდრიხსმა (გდრ) გაიმარჯვა „500-ანების“ აქ მოწყობილ საერთაშორისო შეჯიბრებაში. საბჭოთა მრბოლელები ლებედევი და სივრაკოვი შესაბამისად II და IV ადგილებზე გავიდნენ.

● ბონი, 4 მაისი. მსოფლიო რეკორდსმენმა გადროს ტყორცნაში ლიზელ ვესტერმანმა შესანიშნავი შედეგი აჩვენა — 59,75 მ.

● მალმე, 5 მაისი. შვეციის ამ ქალაქში ახალგაზრდა ათლეტმა რ. ბრუშმა ბირთვი ჰკრა 19,01 მეტრზე, რითაც თავისი ქვეყნისა და სკანდინავიის ახალი რეკორდი დაამყარა. ბრუში მეთორმეტე მძლეოსანია ევროპაში, რომელმაც 19-მეტრიან ზღვარს გადააბიჯა.

● ივანო-ფრანკოვსკი, 5 მაისი. მოტოკროსში „500-ანების“ სსრ კავშირის ჩემპიონატის III ეტაპი მოიგო ი. მატვეევმა. II ადგილზეა გ. დრაუგსი, ხოლო III — ი. სუხოვი.

● მოსკოვი, 5 მაისი. სსრ კავშირის ველოსპორტის ფედერაციამ დაამტკიცა მშვიდობის ველორბოლაში მონაწილე საბჭოთა სპორტსმენების სია. აი, ვინ დაიცავს ქვეყნის ღირსებას: გ. საიდხუჟინი, ა. კულიბინი, რ. კალნენიეკსი, ვ ჩერკასოვი, პ. იიფერტი, ვ. ურბანოვიჩი.

● მინსკი, 5 მაისი. აქ დამთავრდა ბელორუსიისა და გდრ-ის მოჭადრაკეთა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. სტუმრების გუნდს აკლდნენ დიდოსტატი ვ. ულმანი და საერთაშორისო ოსტატი ე. კელერ-გერმანი. შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს — 22,5:17,5. გდრ-ის გუნდიდან აღსანიშნავია დიდოსტატი ვ. პიტჩი, რომელმაც დაამარცხა დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი.

● კიევი, 5 მაისი. უკრაინის მძლეოსანთა ჩემპიონატის მეორე დღეს შესანიშნავ შედეგს მიაღწია 22 წლის ხარკოველმა ვალენტინა ევერტმა (ბორისევიჩმა). შუბის ტყორცნაში მისი მაჩვენებელი — 54,18 მეტრი საუკეთესოა წლეულს საბჭოთა კავშირში. კიეველი არმიელი ლ. ბარკოვსკი სიგრძეზე 773 სანტიმეტრზე გადახტა. 110 მეტრზე თარჯრბენში თავი ისახელეს ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონისა და რეკორდსმენის ე. ბულანჩიკის მოსწავლეებმა. მათგან ყველას აჯობა ა. სინიცინმა — 14 წამი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

## პორტუგალია

პორტუგალიის ჩემპიონატის ფინიში არასოდეს ყოფილა ასე დაძაბული. ლისაბონის „სპორტინგი“, ლისაბონის „ბენფიკა“ და „ფკ პორტუ“ ხშირად ცვლიან ერთმანეთს ლიდერის პოსტზე. კვირას „ბენფიკა“ პორტუში შეხვდა ადგილობრივ „ფკ პორტუს“ და ფრედ ითამაშა — 1:1. ლისაბონის „სპორტინგი“ მთელი მატჩის მანძილზე უტევდა სეტუბალის „ვიტორიას“, მაგრამ გამარჯვება ამ უკანასკნელს ხვდა წილად—1:0.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „სან ჟოანენსე“ — „ლეიქსოსი“ 2:3, „ვიტორია“ (გიმარაისი) — „სპორტინგი“ (ბრაგა) 2:0, „აკადემიკა“ — „ბელენენსესი“ 3:1, „ვარზიმი“ — „ბარეირენსე“ 5:2, კუფ — „ტირსენსე“ 5:0.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 25 | 67:19 | 39 |
| „სპორტინგი“ | 25 | 48:20 | 37 |

## ინგლისი

„მანჩესტერ-სიტი“ ლონდონში შეხვდა ადგილობრივ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ და გაიმარჯვა — 3:1. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ შინ დაამარცხა „ნიუკასლ იუნაიტედი“ — 6:0. 3 გოლი გაიტანა ბესტმა. „ლიდს იუნაიტედი“, რომელიც აგრეთვე უმიზნებდა ჩემპიონის ტიტულს, შინ შეხვდა „ლივერპულს“. გაიმარჯვეს ლივერპულელებმა — 2:1.

დანარჩენი შედეგებია: „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „კოვენტრი-სიტი“ 0:0, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“—„ჩელსი“ 3:0, „შეფილდ უენსდეი“—„არსენალი“ 1:2, „ლესტერ-სიტი“ — „ნოტინგემ ფორესტი“ 4:2, „ფულჰემი“ — „საუთჰემპტონი“ 2:2, „ბერნლი“ — „შეფილდ იუნაიტედი“ 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ-სიტი“ | 41 | 82:40 | 56 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 41 | 88:53 | 56 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 40 | 68:34 | 53 |
| „ლივერპული“ | 40 | 64:37 | 53 |

## იტალია

გასულ კვირას „მილანმა“ რომში ფრედ ითამაშა ადგილობრივ „რომასთან“ — 1:1. მატჩის შემდეგ ქვეყნის ახალი ჩემპიონი ვატიკანში იქნა დაპატიჟებული, სადაც რომის პაპმა გუნდს მიღება გაუმართა.

მილანის „ინტერნაციონალემ“ კიდევ ერთი მარცხი განიცადა, ამჯერად „ნაპოლისთან“ შეხვედრაში, თანაც თავის მინდორზე (1:2) და ახლა V ადგილზე იმყოფება.

დანარჩენი შედეგებია: „ატალანტა“ — „ბოლონია“ 1:0, „ფიორენტინა“ — „სპალი“ 2:0, „ბრეშია“ — „ლანეროსი“ 0:0, „კალიარი“ — „ტორინო“ 2:0, „იუვენტუსი“ — „სამპდორია“ 3:1, „ვარეზე“ — „მანტოვა“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მილანი“ | 29 | 52:22 | 44 |
| „ნაპოლი“ | 29 | 34:24 | 36 |
| „ფიორენტინა“ | 29 | 35:22 | 35 |

## შოტლანდია

„გლაზგო რეინჯერსმა“ ბოლო ტურში შინ წააგო „აბერდინთან“ — 2:3. ქვეყნის ჩემპიონმა — გლაზგოს „სელტიკმა“, რომელმაც ბოლო 3 ტურში ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მოიპოვა („რეინჯერსმა“ კი 3 ქულა დაკარგა!), გასვლითი მატჩი მოუგო „დანფერმლაინ ატლეტიკს“ — 2:1.

გლაზგოს „სელტიკმა“ ზედიზედ მესამედ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. კარს კვლავ იცავს ვეტერანი სიმპსონი, დაცვაში გამოირჩევიან მაკნილი, გემელი და კრეიგი; ნახევარდაცვის ბურჯია მერდოკი. ჩემპიონის უძლიერესი რგოლია თავდასხმა, სადაც 7 ტოლფასოვანი ფორვარდია: ჰიუზი, გალაჰერი, ჯონსტონი, ჩალმერსი, ლენოქსი, ოულდი, უოლესი.

ამრიგად, გაისად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში შოტლანდიის სახელს გლაზგოს „სელტიკი“ დაიცავს, თასების მფლობელთა თასში გამოვა „დანფერმლაინ ატლეტიკი“, ხოლო ბაზრობათა თასში — „გლაზგო რეინჯერსი“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ (გლაზგო) | 34 | 106:24 | 63 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 34 | 93:34 | 61 |
| „ჰიბერნიენი“ (ედინბურგი) | 34 | 67:49 | 45 |

## გფრ

ქვეყნის ჩემპიონატის დასასრულამდე დარჩა მხოლოდ 3 ტური. მორიგ ტურში „ფკ ნიურნბერგმა“ აახენში წააგო I ლიგის დებიუტანტთან — ადგილობრივ „ალემანიასთან“ — 0:2. ჰამბურგში ადგილობრივმა „ჰამბურგერ შფ“-მ და ქვეყნის ჩემპიონმა — ბრაუნშვაიგის „აინტრახტმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0. ბრემენის „ვერდერმა“ მოუგო მიუნჰენის „ბაიერნს“ — 3:2.

დანარჩენი შედეგებია; „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „შტუტგარტი“ 2:1, „კარლსრუე“ — „შალკე 04“ 1:0, „ბორუსია“ (ნოიენკირხენი) — „მიუნჰენ 1860“ 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფკ ნიურნბერგი“ | 31 | 65:35 | 41 |
| „ვერდერი“ (ბრემენი) | 31 | 62:48 | 38 |
| „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი) | 31 | 74:45 | 37 |

# თასები...

18 მაისს ლონდონის „უემბლიზე“ ინგლისის თასის 87-ე ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ (მეათეჯერ ითამაშებს ფინალში, 4-ჯერ მოიპოვა თასი) და ლივერპულის „ევერტონი“ (მე-7 გამოსვლა ფინალში, 3-ჯერ მოიპოვა თასი). ინგლისის თასის ფინალში 10-ჯერ აქამდე მხოლოდ „ნიუკასლ იუნაიტედს“ უთამაშია.

* * *

ირლანდიის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ბელფასტის „კრუზეიდერსი“ და „ფკ ლინფილდი“. თასი მოიპოვა „კრუზეიდერსმა“ — 2:0.

• • •

ავსტრიის თასის გათამაშების ნახევარფინალში ვენის „რაპიდმა“ მოუგო ვენის „ვაკერს“— 3:0, ხოლო „გრაცერ აკ“-მ დაამარცხა ბრეგენცის „შვარც-ვაისი“ — 2:0. ფინალში შეხვდებიან „რაპიდი“ და „გრაცერ აკ“.

# ნიგერია — ფინალში

ადის-აბება, 5 მაისი. აქ შედგა განმეორებითი ოლიმპიური შესარჩევი მატჩი ეთიოპიისა და ნიგერიის ნაკრებ გუნდებს შორის. თამაში მოიგეს ეთიოპიელებმა (1:0), მაგრამ ვინაიდან მათ პირველი შეხვედრა წაგებული ჰქონდათ ანგარიშით 1:3, შესარჩევ ტურნირში გამარჯვება წილად ხვდა ნიგერიას, რომელიც აფრიკის კონტინენტის წარმომადგენელი იქნება მეხიკოში.

# შიმანიაკი ლოთობს

1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატში დიდი სახელი მოიხვეჭა გფრ-ის ნაკრების ახალგაზრდა ნახევარმცველმა ჰ. შიმანიაკმა. „შიმი ერთ გუნდს უდრის“, — თქვა მაშინ მწვრთნელმა ზ. ჰერბერგერმა. შემდგომში შიმანიაკი იტალიაში გადაბარგდა, მაგრამ თავის ნაკრებს მაინც გამოადგა მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატში. მერე, როცა ერთხელ კიდევ ჰაისვა ამ ფეხბურთელის თამაშის საკითხი „ჟიულ რიმეს თასის“ მორიგ გათამაშებაში, ახალმა მწვრთნელმა ჰ. შიონმა მისი კანდიდატურა უარყო, ვინაიდან მის ყურამდე მიაღწიეს ხმებმა შიმანიაკის ლოთობაზე.

შარშან შიმი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა, სადაც პროფესიულ კლუბ „კანზას-სიტიში“ გამოდიოდა. ახლახან მოვიდა ახალი ცნობა ამ ნახევარმცველზე, რომელიც თავის დროზე მსოფლიოში უძლიერესად ითვლებოდა — ლოთობის გამო იგი „კანზას-სიტიდანაც“ გარიცხეს.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03226